

სსიპ-აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო



სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ორგანიზებით 2013-14 წლებში განხორციელდა ორი პროგრამა: აჭარაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების რეაბილიტაციისა და მუზეუმების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამა. უძრავი ძეგლების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში:

- ✓ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 4 თაღვან ხიდს. (ხუცუბნის, უჩხოს, მირვეთისა და საღორეთის ხიდები).
- ✓ ხიხანის ციხეზე აშენდა არქეოლოგიისათვის საცხოვრებელი სახლი, მოხდა წყლის მიყვანა. რეაბილიტაცია ჩატარდა კოშკი № 4-ს;
- ✓ დასრულდა გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალში არქეოლოგიური უბნების საკონსერვაციო სამუშაოები. მოხდა 6 უბნის კონსერვაცია.
- ✓ დასრულდა ე.წ. „პალმის“ შენობის რეაბილიტაცია, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვუმასპინძლოთ საერთაშორისო არქეოლოგიურ ექსპედიციებსა და კონფერენციებს.
- ✓ მუზეუმების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში: შეძენილ იქნა ხულოს ქ. N10 მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი. დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგ იქ მოეწყობა „ბათუმის ისტორიის მუზეუმი“.
- ✓ სააგენტოს ორგანიზებითა და დაფინანსებით ჩატარდა შემდეგი არქეოლოგიური გათხრები:
 - ა) ხიხანის ციხეზე. ბ) სოფ. მახოში. გ) სოფ. მახვილაურში. დ) სოფ. სიმონეთში. ე) სოფ. მურვანეთში. ვ) გონიოს ციხეში. ე) ფიჭვნარის ტერიტორიაზე.
- ✓ სააგენტოს ორგანიზებით გაიხსნა საქართველოში თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სარესტავრაციო ლაბორატორია.
- ✓ სამუზეუმო პედაგოგიკის განვითარების მიზნით სააგენტო ყოველწლიურად ახორციელებს კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებს. კერძოდ:
 - ა) საგანმანათლებლო პროგრამა „შეეხე ისტორიას ხელებით“.
 - ბ) საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტი „არქეოკულტურა, წინაპართა ნაკვალევზე“.

2015 წლისათვის დაგეგმილია:

- ✓ „ბათუმის ისტორიის მუზეუმი“-ს მოწყობა;
- ✓ ხიხანის ციხეზე კოშკი N2 რეაბილიტაცია-კონსერვაცია;
- ✓ მახოსა და ხაბელაშვილების ხიდების რეაბილიტაცია;
- ✓ პეტრას ციხის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი);
- ✓ არქეოლოგიური გათხრები: გვარას ციხე; გონიო-აფსაროსის ციხის შიდა ტერიტორია; ფიჭვნარის ანტიკური ხანის სამაროვნის ტერიტორია; შუახევის მუნიციპალიტეტი: სოფელი

სსიპ-აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო

ჯაბნიძეები-ადგილი „ქაშუეთი“. არქეოლოგიური გათხრების დასრულების შემდეგ მოხდება წიგნის გამოცემა 2014 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგების შესახებ.